სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება №9

2023 წლის 3 აპრილი

ქ. სამტრედია

საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსით გათვალისწინებული ჯარიმისა და საურავის გადახდის უზრუნველყოფის ღონისძიებისთვის სააღსრულებო ფურცლის ფორმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 126-ე მუხლის და „მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე“, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2020 წლის 31 აგვისტოს №1-1/345 ბრძანების საფუძველზე, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, **დაადგინა:**

მუხლი 1

დამტკიცდეს საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსით გათვალისწინებული ჯარიმისა და საურავის გადახდის უზრუნველყოფის ღონისძიებისთვის სააღსრულებო ფურცლის ფორმა, დანართი №1.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ნუგზარ ჯამბურია**

დანართი №1

საქმე № -----

ს ა ა ღ ს რ უ ლ ე ბ ო ფ უ რ ც ე ლ ი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია

_____

(სააღსრულებო ფურცლის გამცემი)

_____ საქმე,

რომლის გამოც გაცემულია სააღსრულებო ფურცელი

_____

ბრძანების გამოტანის თარიღი

ბრძანების კანონიერ ძალაში შესვლის თარიღი

ბრძანების სარეზოლუციო ნაწილი

კრედიტორის დასახელება და რეკვიზიტები:

მოვალის დასახელება და რეკვიზიტები:

სააღსრულებო ფურცლის გაცემის თარიღი:

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერი ----------